


გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

„,თეატრი და ცხოვრება“

წლიურად 25 მან., ნახევარ წლით 15 მან. თითო ნომრი--5 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი, რედ. „,თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილი.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 86

1919 წ. № 9 კვირა აგვ ისტოს 10 | ფასი 5 მან. | წელიწადი მეშვიდე გამოცემისა



**ს ხალხო გვარდიის მეთაურნი**

სანდრო მაისურაძე, ვალიკო ჯუღელი ალექსანდრე დადებუაძე სახალხო გვარდიის სულის ჩამდგმელნი არიან. ერთმა მათგანმა — სანდრო მაისურაძემ სომხებთან შეტაკების დროს ბრძოლაში დალია სული, რითაც კიდევ უფრო გამოაფხიზლა ქართველი მებრძოლი დემოკრატია ხოლო დანარჩენი ორნი ვ ჯუღელი და ალ. დადებუაძე დღესაც ვაჟკაცურად მეთაურობენ ჩვენს სახელოვან არწივებს მათათვის 19—20 წელმა საქართველომ დღესასწაული გაუმართავენს ფრონტს დიდი თანხაც შეაგროვა. ყოველი ერთგული დემოკრატისა და მამულიშვილის ვალია თვისი მზრუნველობა არ მოაკლოს ჩვენის ქვეყნის მცველ მებრძოლთ გვარდია-ჯარსა და მათს ოჯახებს!



ვასილ ბარნოვი.

(იხ. 9 გვერდი „სახე-ლოვნო ნაკვთები“).



ანასტასია ერისთავი-ხოშტარიასი.

(იხ. 9 გვერდი „სახე-ლოვნო ნაკვთები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულის ჭია.

ხეს რომ გულის ჭია გაუჩნდება, მისი საქმე წასულია.

ნელნელა შეუმჩნევლად ღრღნის და ბოლოს დააფუღუროებს.

ჩვენი სამშობლოს თავისუფლებაც დღეს ასეთ საფრთხეშია.

რა ჯურის ჭია გინდათ ჩვენის სამშობლოს გულში არ აპირებდეს მოკალათებას.

ვიწრო პარტიულ-ჯგუფური დაუსრულებელი ღრღნა, როცა ქვეყნის ინტერესები ძალთა გაერთიანებას უფრო მოითხოვს,

მუშა-გლეხებისგან საკუთარი ინტერესების გაბატონება, როცა დღეს ყოფნა არ ყოფნის დროა, განსაკუთრებით მუშა-გლეხთა სამეუფოა და თვით მათგანვეა საჭირო საქვეყნო-საზოგადო საქმის მაღლა დაყენება. ნუღარ მოვთვლით ზოგ მოხელე მმართველთა უღირსობას, ბევრ მოქალაქეთა გულციობას, გაყაჩაღებას, გამხეცებას...

რა თქმა უნდა, საყვედურის გარეშეა მუშა-გლეხთა ის ნაწილი, რომელიც თავის მკერდით იცავს მამულს...

სოფელი თითქო გაველურების გზას დაადგა. აქ ინტელიგენცია ან სანთლით საძებარია, ანუ თუ არის—მეტისმეტად წვრილმანი, ჩია, ჯუჯა, ერთი მეორეს სამარეს უთხრის, ერთი მეორეს აბუჩად იღებს სოფელსა და საზოგადო საქმეს გონება მახვილი და ხელ ღონიერი მზრუნველი არსად უჩანს. ურთი ერთის რწმენა, ნდობა თითქო გამქრალა, გაცა მტვერებულა. ბევრ ადგილას სოფლის მართვა-გამგეობას სადავე შეუფერებელ და უღირს კაცთ ჩავარდნიათ ხელში, მავნე დემაგოგიის წყალობით მოწინავე კაცნი განუდევნიათ, სოფელი უფრო დაუბნელებიათ და ამ ბნელაში თავის ბნელ საქმეებს უფრო ხელსაყრელად აკეთებენ.

საზოგადოებრივი მაჯისცემა შეჩერებულია.. თითქოს ყველა დაქანცულია.

და ასეთ მდგომარეობაში რომ სამშობლოს თავისუფლებას ჭია გაუჩნდეს, რა გასაკვირველია!..

დღეს იმ ყოფაში ვართ, ჩვენი ქვეყანა ისეთ გზა ჯვარედინზეა შემდგარი, რომ ყოველი ჩვენთაგანი ურთიერთზე ერთის საზოგადო გრძნობით უნდა იყოს გადაბმული: დიდიდან პატარამდე პატარიდან დიდამდე, ქალაქიდან სოფლამდე და სოფლიდან ქალაქამდე ერთის განცდით ფეთქდეს.

არა გარეგნულად, სათვალსეიროდ-არამედ შინაგანად, გული გულში..,

და როდესაც ეს მოხდება, მაშინ ვერავინ გაბედავს ალმაცერად შემოგვხედოს, სამშობლოს ისტორიულ საზღვრებში შემოგვეჭრას სამშობლოს ამა თუ იმ კუთხეს წამოეპოტინოს..,

ხოლო კიდრე თითოეული ჩვენთაგანი ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულა, ხალხისა და სამშობლოს სიყვარულით ვერ გამსჭვალულა, როდესაც თითოეული ჩვენთაგანი ხვალინდელ ქათამს დღევანდელ კვერცხს რჩეობს, ვერც ჩვენი თავისუფლების გულის ჭია მოკვდება და მუდამ საფრთხეში ვიქნებით..

თუ სიცოცხლე გვინდა — მისი ფასიც უნდა ვიცოდეთ, ვიცავდეთ და ერთის საზოგადო აზრით გაერთებული ქვეყნის სასიკეთოდ ვხმარობდეთ.

**იოსებ იმედაშვილი**

*
* *

კიდევაც დავწერ იმასა,
წინადაც დამიწერია:
სამშობლოს უნდა პატრონი,
თორემ გალეწავს მტერია.
მაშინ წამოჯე ბუხართან,
დაჯექ ურგები ბერია,
გადაივარცხნე ქოჩორი;
გადაიგრიხე წვერია,—
მალ მალ სარკეში გახედე,
არსად მოგეცხოს მტვერია..
გონს მოდი, კარგად დაფიქრდი,
თავზე გექცევა ჭერია,
მიხედ მოხედე ქვეყანას,
თავი ნუ გაგიჯერია,
შენც დაკარ ერთი ლურსმანი,
ხელში აიღე კვერია...

**ვანდ აფციაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილები ხელოვნებაზე

ქართ.-სამ. საზ-ში მოხდა სრული რეორგანიზაცია. მუსიკის დემოკრატიზაციის იდეამ გაიმარჯვა. ძველი გამგეობა გადადგა. ახალ გამგეობაში მოიყვნენ გარდა დამფუძნელ კრების წევრებისა, აგრეთვე მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამას გარდა არჩეულ იქმნა სამუსიკო კოლეგია, განსაკუთრებით მუსიკოსებისგან, რომელსაც დაევალა სასწავლებლის და საზოგადოების სამუსიკო საქმეთა გამგებლობა. რაც შეეხება კოლეგიის დადგენილების ცხოვრება ი გატარებასა და ნივთიერ მხარის გამოძებნას—მიენდო გამგეობას. სამწუხაროდ ორიოდე ცნობილი მუსიკოსი „დროთა უქონლობის გამო“ არ შევიდნენ კოლეგიაში. საქართველოში მხოლოდ ერთი ქართული სამუსიკო საზოგადოებაა და ჩვენ მუსიკოსებს, რომ დრო არ ჰქონდეთ ამ საზოგადოებაში მუშაობისა, ეს ცოტა გასაკვირველია. იმედია, ჩვენი გამგეობა შესძლებს ყველა ქართველ სამუსიკო ძალების შეერთებას და აღმოუჩენს დახმარებას ყოველ ინიციატივას ხელოვნების დარგში.

ინტელიგენცია ცოტად თუ ბევრად გაცნობილია სერიოზულ მუსიკასთან. რაც შეეხება პროვინციას და მუშა-ხალხს—იქ ესთეტიკას არაფერი ადგილი აქვს. ახალ გამგეობის გადადგმული ნაბიჯი ფრიად საყურადღებოა. ეს განუვითარებს ჩვენს ხალხს ესთეტიურ გემოვნებას და მიიყვანს აყვავების წერტილამდი

—

დაარსდა, ქართველ მომღერალთა პროფესიონალური კავშირი რომელმაც მიზნად დაისახა ეროვნული ხელოვნების აყვავება და ახალგაზრდა მომღერალთა ზნეობრივ ნივთიერი დახმარება.

ჩვენი ხალხი ბუნებით ძალიან ენათესავება იტალიის ხალხს. როგორც იქ, ისე ქართველ ხალხში ბევრი მოიძებნება სამუსიკო ნიჭით დაჯილდოვებულ, მაგრამ მოგეხსენებათ, საქართველოში ქართველებისთანა ღარიბი ხალხი, არავინ მოიძებნება, „ლუკმა პური“ აი დევიზი ყველა ქართველის. ჩვენს საზოგადოებას და მთავრობას თუ სურთ ქართული ოპერები არ იდგმებოდეს დამახინჯებული სახით, როგორც ამას შარშანდელ სეზონში, თუ არ სურთ, რომ არ დამახინჯდეს ჩვენი ენა, ყოველნაირი დახმარება უნდა გაუწიოს ქართულ სამუსიკო საზოგადოებას და მომღერალთა კავშირს. სასურველია მთავრობის მიერ გადადებულ საზღვარ-გარეთელ სტიპენდიებს გამოეყოს ათიოდე სტიპენდია ნიჭიერ მომღერალთათვის და მუსიკოსებისათვის, რომელნიც გაიგზავნებიან პირველნი იტალიაში მეორენი კი გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად,

—

ჩვენიშ ბოროტმოქმედება და კაცის კვლა უბრალო მოვლენად გადიქცა. ხელოვნების წარმომადგენლებსაც კი არ ინდობენ. ჯერ საზოგადოებას არ, მოუნელებია, დათიკო ლეჟავას სიკვდილი. რომ ყაჩაღებმა ხალი საჩუქარი მოგვართვეს: ვერაგულად მოგვიკლეს ნიჭიერი მომღერალი ლეო ჩუბინაშვილი. მაგრამ რაზე გავამტყუნოთ ყაჩაღები, როდესაც ჩვენი ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენელნი არ იცნობენ მათ მოქმედებას. ამას წინეთ ქ. თბილისში მოხდა შემდეგი ამბავი. მილიციონერები შეუარდნენ დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეს ლოტბარ მელქისედეგ ნაკაშიძეს, სცემეს მის მეუღლეს, თვითონაც ცემით სიკვდილის პირას მიიყვაეს და შემდეგ ორივე წაასხეს კომისარიატში. თუ ადმიანისტაციის უფროსი არ ჩარეულიყო საქმეში და არ გაენთავისუფლებინა ნაკაშიძე, მილიციონერებს, თურმე გადაწყვეტილი ჰქონდათ მისი დახვრეტა რომელ რესპუბლიკის კანონის ძალით მოქმედებენ ჩვენი ადმინისტრაციის წარმომადგენელნი როდესაც ასე ეპყრობიან მოქალაქეებს? ამის შესახებ პროკურორთან დანიშნულია სასტიკი გამოძიება და იმედია, ამნაირ უმსგავს მოვ უენბს ბოლო მოეღება

**სვ. წერეთელი.**



**მიხეილ ნიკოლოზის-ძე მარჯანიშვილი**

გასულ თვეს თბილისში მიწას მიაბარეს ქართული თეატრის ერთი ჩუღი, დაუღალავი და სასარგებლო მუშაკთაგანი. ეს იყო მოკარნახე (სუფლიორი) მიხეილ ნიკოლოზის-ძე მარჯანიშვილი, რომელმაც მოღვაწეობა დაიწყო 1892 წ. ქუთაისში კ. მესხის-მიერ პირველად შედგენილ დასში. არა ჩვეულებრივი უნარის მოკარნახე იყო. სათეატრო საქმით გატაცებული, მოყვარული, დაუღალავი მშრომელი, ამხანაგ-მსახიობთა სული და გული. როცა ქუთაისში თეატრი დაიწვა და კ. მესხის დასიმდაიშალი, მიხეილმა შეადგინა დასი და წარმოდგენების მართვა ხარაზოვის თეატრში დაიწყო. 1909 წ. ბაქოს გადასახლდა, სადაც მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართული სცენის წინსვლის საქმეში ნათარგმნი აქვს პიესები: „კაეშანი“, „ახალი სისტემა“, „მეამბოხე“, „პაულ და ანგე“ და სხ. ორგზის გადუხადეს იუბილე—10წ. და 20წ. მადლიერი სამშობლო თეატრი არ დაივიწყებს მის სახელს. ი—ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განახლებული სიცოცხლე

**რ ო მ ა ნ ი**

ქართველ-სომეხთა ომიდან

[ლ. გუდიაშვილის ნახატებით]

(გაგრძელება. იხ. თ. და ც. № 8)

## გაჭირვების ტალკვესი



საქართველოს რესპუბლიკის ჯავშნოსან მატარებლების უფროსი ვალოდი გოგუაძე 1818 წ. მიწურულს, ზამთრის ერთ ღამეს, ის-ის იყო მგზავრობით დაბრუნებული მთავრობასთან მოხსენების წარსადგენად ემზადებოდა, რომ გენ. წულიკიძის საჩქარო დეპეშა მოუვიდა: ,,მტერმა საზღვრები გადმოლახა. არც ერთი წუთი არ დააყოვნო და შენის ჯავშნოსანით სანაინს ამოდიო''.

ამ ამბავმა ვ. გოგუაძეს მთელს არსებაში ელექტროს ნაპერწკალივით გაუქროლა და მწარ-ტკბილი გრძნობანი განაცდევინა. მწარე იმითი, რომ უნდა შებრძოლებოდა მოყვარე მტერს, თავისიანს, საუკუნო მეზობელს. რომლის ქვრივ-ობოლნი ათი-ათასობით გადაერჩინა ოსმალთა ურდოებისაგან, ხოლო ტკბილი მით, რომ თავის ბუნებრივ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა: ომის ქარ-ცეცხლში ტრიალი მისი სულის მოთხოვნილება იყო და იმ დღეს, როცა საომარ ასპარეზზე არ იმყოფებოდა, მოწყენილებას განიცდიდა. ჯერ კიდევ რუსეთის ბატონობის დროს, გოგუაძე სოციალ-დემოკრატიულ ერთი თვალ-საჩინო აქტიური მუშაკთაგანი იყო ბაქოში, 1905 წ. თათარ სომეხთა შეტაკების დროს რკინის გზის უბანში 13000 სომეხი გადაარჩინა, რის გამოც იგი ღმერთად მიიჩნიეს; აქვე დაადუნა ხალხის მრავალი მტერი, რის გამოც ძველმა მთავრობამ დევნა დაუწყო. მთავრობისაგან დევნილი მთელი ცამეტი წელიწადი სამშობლო გურიის მთა-გორებში აფარებდა თავს და აქედან ხალხის მტრებს ძილს უფრთხობდა. რუსის თვითმპყრობელ მეფის ჯალათებმა არა ერთხელ მოიმწყვდიეს, მაგრამ იგი ხიფათს ყოველთვის თავს დააღწევდა ხოლმე, რითაც ერთი ათად მეტს თაზარსა სცემდა ყაზახ-რუსებს. მტრისგან დევნილ-შევიწროვებულ გოგუაძეს ხალხი თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა. ასეთის დევნით ეღირსა რევოლიუციასა და სამშობლოს თავისუფლებას,—ახლა-კი ბარე ოც ადგილას დაჭრილი, მეგობრებმა თბ. ერთს საავადმყოფოში მოათავსეს.—ჯერ არც-კი იყო განკურნებული, იღლიაში შედგმულ ჯოხებით ძლივს ადგამდა ფეხს რომ შავრაზმელმა რუსებმა რევოლიუციის წინააღმდეგ მოძრაობა დაიწყეს, თბილისის თოფხანას დაეუფლენ და რევოლიუციონურ მთავრობას არ ემორჩილებოდენ. საჭირო იყო მათი ძალით დაპყრობა, მაგრამ ვის უნდა ნდობოდა რევოლიუციონური მთავრობა, თუ არა ძველ ტერორისტ-რევოლიუციონერსა და ბრძოლაში გამობრძმედილს ხალხის ერთგულ შვილს: რევოლიუციონურმა მთავრობამ თითქოს ყნოსვით მიაგნო ასეთ კაცსაო და ვ. გოგუაძეს მიანდეს თბილისის თოფხანის აღება. რევოლიუციის ამ ერთგულმა შვილმაც ვალიკო ჯუღელის და ალექსანდრე დგებუაძის მიწვევით 1917 წ. თავი მოუყარა თბილისელ 130 შეგნებულ მუშას, შეადგინა წითელი გვარდია, ჭრილობისაგან განუკურნებელმა ჯოხებზე დაყრდნობილმა ერთხელ კიდევ მოაგონა



წითელ გვარდიას რევოლიუციონერის მოვალეობა, წარგზავნა და თოფხანას ალყა შემოარტყმევინა. ბურუსიან საღამო იყო. ოდნავ სცრიდა. თოფხანის მიდამოებში სროლა ისმოდა. მთელი ქალაქი გულის ფანცქალით ელოდა რა მოხდებოდა: სომეხ-რუსები—საცაა რევოლიუცია დაემხობა. ხოლო ქართველები—ნუ თუ შავი ძალა დაგვამხობსო. და გაიმარჯვა რევოლიუციამ. ერთი დღე ღამის გახურებული ბრძოლის შემდეგ წითელმა გვარდიამ მთელი თოფხანა აიღო. და თვისი წითელი დროშა ამაყად გადმოაფრიალა. ეს იყო სამშობლოს განთავისუფლებისა და დემოკრატიის გამარჯვების აშკარა ბრძოლის დასაწყისი. ამის შემდეგ ვ. გოგუაძეს მიენდო ჯავშნოსან მატარებელთა ხელმძღვანელობა და საქართველოში არ ყოფილა სამშობლოსა და რევოლიუციის წინ აღმდეგი არც ერთი მოძრაობა, რომლის ჩასაქრობადაც მას მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს: სომხებს გზა-აბნეულ გლეხების თუ სხ. წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვ. გოგუაძის მამულიშვილურ რევოლიუციონურმა ვაჟკაცობამ და იდეურმა მეომრობამ რევოლიუცია ბევრჯელ იხსნა გაჭირვებისაგან. ამიტომაც ამიერ კავკასიის რევოლიუციონურმა მთავრობამ მას უწოდა **რევოლიუციის პირველი მხედარი**.

გაჭირვების ტალკვესიო, რომ იტყვიან, სწორედ ასეთი იყო იგი: როცა-კი სადმე რაიმე გაჭირვება იწყებოდა ჩვენს სამშობლოს გარეთ თუ შიგნიდგანა. ვ. გოგუაძეს მიმართავდენ და ისიც სწრაფად ემკურნალებოდა გაჭირვებაში მყოფს. ბორჩალოში სომეხთა აბორგება-შემოსევის დროსაც გენ. წულუკიძემ ამავე გაჭირვების ტალკვესს მიმართა—ჯავშნოსანი მომაშველეო.

გამოცდილმა რევოლიოცენერ-მეომარმა სანაინი წარმოიდგინა და კოპები შეიკრა.

—გამარჯვების მაგიერ დამარცხებას მიმზადებენ.

წარმოსქვა მან, მერე უცებ ადგა და სამხედრო მინისტრთან გასწია ავტომობილით.

—გელოდი და მოხვედი, უბრძანა სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ: აი ეს ეს არის გენ. წულუკძის დეპეშა მივიღე, სანაინთან ვიღაც ბრბოები გამოჩენილან

—დიახ, მეც მაგაზედ გიახელით

—დაყოვნება შეუძლებელია, ახლავე უნდა გახვიდე!—უბრძანა მინისტრმა.

—ნება მიბოძეთ, ბატონო მინისტრო, მოგახსენოთ: თუ რესპუბლიკის ჯავშნოსნები მოგბეზრდათ, იბრძანეთ აქვე ავაფეთქო. ხოლო თუ ჩემი დაღუპვა განგიზრახავთ, აქვე შეგიძლიანთ დამღუპოთ.

—ეს რას ნიშნავს! შენ და აგეთი ურჩობა!. ჰკითხა მინისტრმა უფრო მეგობრული საყვედურით.

—როგორც ჯარის კაცმა, მე დისციპლინა ვიცი და ამ დისციპლინას ვემორჩილები კიდეც. ხოლო როგორც რესპუბლიკის მოქალაქე, მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს მოგახსენოთ, ბატონო მინისტრო, რომ იქ ჯავშნოსნები ვერ გამოდგება, პირ-იქით. იქნება დავიღუპნეთ კიდეც. მოგეხსენებათ სანაინთან აქეთ-იქით რავდენიმე ათეული საჟენით აყუდებული ფრიალო კლდეებია. ვიწრო გასავალი... მაღლა რავდენიმე კაცი რომ ჩაგვისაფრდეს, მეტიც არა გვინდარა:- ჩვენ ვისვრით, მაგრამ უშედეგოთ.

- -როგორ წარმოგიდგინია, რომ შიშმა შეგიპყრო?

—შიშის ცნება მე არ ვიცი. ვიცი მხოლოთ უშიშრათ ბრძოლა, შეგნებით გამარჯვება. მიუგო ვ. გოგვაძემ ცოტა არ იყოს აღგზნებული გრძნობით.

(გაგძელება იქნება შემდეგ ნომერში)



ტატე შუშიაშვილი.

დუშეთის სამაზრო შტაბის თავმჯდომარის ამხანაგი,- დამაარსებელი და მომწყობი დუშეთის სახალხო გვარდიისა. თვისი გვარდიით ახალციხის ფრონტზე იყო და მისი და მისი ამხანაგების ხელმძღვანელობით დუშეთის გვარდიამ, როგორც პატრიოტებმა ისე სიმამაცით, სახელი გაითქვა. სკოლაში არა ყოფილა, წიგნების კითხვით მიიღო თვითგანვითარება.

## პირველი ნაბიჯი

ქ. ზუგდიდი, სამეგრელოს სხვა დაბა-ქალაქთა შორის თუ არ პირველობს ეკონომიური სიძლიერით, ყოველ შემთხვევაში პირველია თავისი ბუნებრივი მდებარეობით, ბუნებრივი სილამაზით.

ეს ქალაქი და მაზრა თავის საშოში ატარებს სულიერ კულტურას, სულიერ სილამაზეს.

ხალხური თქმულებები, ხალხური პოეზია სამეგრელოში და განსაკუთრებით ზუგდიდის მაზრაში ისეთი მდიდარია, რომ განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი.

სამწუხაროდ ჯერ არ გადადგმულა ნაბიჯი საქართველოს ამ მშვენიერ კუთხის შესასწავლად, თუ არ მივიღებთ მხედველობაში აწ გასვენებულ პროფესორის ი. ყიფშიძის შრომას.

მობრძანდნენ, ბატონებო, ევროპიულ-ქართულ მეცნიერების მესვეურნი ჩვენთან, გასწიონ მუშაობა ჩვენი კუთხე-მათ შეაგებებს თავის ხალხურ-კულტურულ სიმდიდრეს და ჩვენ მივიღებთ ძლიერ ეროვნულ-ჰარმონიულ სულს—ინტელექტს.

საბედნიეროდ პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. აქ ინიციატივა დემოკრატიამ იკისრა.

ქ. ზუგდიდში მუშა-მოსამსახურეებმა დაარსეს მოსამსახურეთა საკრებულო.

აქ დიდი შრომა მიუძღვის ამხ. ირ. ბოხუას.

საკრებულოს აქვს შესაფერი დაქირავებული შენობა. შიგ მოწყობილია სცენა.

საკრებულოსთან უკვე დაარსდა სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც ენერგიულად მუშაობს და ორი თვის განმავლობაში 5-6 წარმოდგენა მოაწყო.

სცენის მოყვარეთა მუშაობა შემთხვევითი მოვლენიდან სპეციალურ სფეროში გადადის. რომ ამ დარგში ძლიერ ტემპით მუშაობა სწარმოებს, ამ ფაქტს ამტკიცებს „ქრისტინეს“ დადგმა. ვინც ამ წარმოდგენას დაესწრო ყველა დამეთანხმება, რომ პროვინციალურ ქალაქში უკეთესად დადგმა შეუძლებელი იყო.

ზუგდიდის სოც.-დემ. კომიტეტმა სცენის მოყვარეთ უძღვნა ცოცხალ ყვავილ. ლირა, შესაფ. წარწერ.

სასცენო მუშაობის გარშემო ჯერ ჯერობით არიან ქალები: ვ. ქარდავა, შ. მ. გვიჩია, თ. კარტოზია, პატარაია, ვ. კვარაცხელია, მ. ჩიქოვანი, ც. ცხადაია, ფ. ჯგუშია და სხვა.

ვაჟები: ირ. პ. მეუნარგია, ვ. ჯიქია, ლ. გუგუშვილი, ვ. მესხი. ვ. ჯალაღონია, მ. ვეკუა, აპ. ჯიქია, ვ. ქელიძე. შ. ხუბულავა, შ. შავგულიძე, და სხვა.

ვუსურვებთ ამ ჯგუფს ენერგიას და საქმის უნარს.

განზრახვაა სხვა კულტურულ დარგებშიაც გაძლიერდეს მუშაობა. უკვე ზუგდიდში თავს იყრის შესაფერად მომზადებული ინტელექტუალური ძალები და მოკლე ხანში დაიწყება სახალხო ლექციების კითხვა.

რაც უკვე ამ მოკლე ხანში გაკეთდა, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. განზრახვაა მომავალში დიდი მუშაობის გაწევა. საჭიროა ჩვენმა დედა ქალაქმა ყურადღება მოგვაქციოს, გაგვიწიოს დახმარება რითაც შესაძლებელია.

არ შეიძლება არ უსაყვედურო ინტელიგენციის, ერთ ჯგუფს. ეს ჯგუფი რაღაც განზე გაგვირბის და ...ს მტრული თვალითაც უყურებს ამ სიმპატიურ მუშაობას.

ჩემი პატარა საყვედური ახალგაზდა მომღერალ ქალს ვ. გვაძუას. ზუგდიდში მისმა ჩამოსვლამ გაგვახარა, ვფიქრობდით ჩვენს ნორჩ დაწესებულებას, სცენას დაამშვენებდა თავისი ბუნებრივი სიმდიდრით. ჩვენ მოვინდომეთ მისი დაახლოვება, მარა სამწუხაროდ თავისი „მე“ მაღლა დააყენა ვინემ საზოგადო საქმე. უნდა იცოდეს ახალგაზდა მომღერალმა, რომ ასეთი საქციელი სრულიად დაჩრდილავს მას.

მაშ ასე მეტი ენერგია, მეტი საქმე! **ვეტო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ გაჩნდა ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

თავგადასავალი ამ ოპერისა, რომელსაც წილად ხვდა 15 ჯერ მეტი წარმოდგენა, საინტერესოა, ვისაც ქართული ხელოვნება და ზღაპარ-სიტყვაობა უყვარს. ასეთი დიდი თქმულებაა, როგორიც არის „აბესალომ და ეთერი“, არის აგრეთვე „ამირანი“—ს და „როსტომის“ ლექსები. ამ ლეგენდების შეკრებას შეუდგა ბ. პ. მირიანიშვილი და ცალკეულაც გამოსცა: „ამირანი“ —დასურათებული, „როსტომი“ და „აბესალომ და ეთერი“—კი დაუსურათებელი.

„აბესალომ და ეთერი“ უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს თქმულებაა და ისეთი ფორმის არის დარჩენილი ხალხში, რომ პირვანდელი მისი სახე უთუოდ უნდა ყოფილიყო დრამატიული, რადგან ბევრი დიალოგია (კითხვა-მიგება) შიგ. „აბესალომ და ეთერის“ პირველი ასეთი ნაწყვეტები ბ. პ. მირიანიშვილმა ს. ფირცხალავას გაზეთ „ფას კუნჯში“ მოათავსა. საფუძვლად ამას, რასაკვირველია, დაედო პ. უმიკაშვილის და სხვების შეკრებილი ხალხური ლექსები, აგრეთვე ის ლექსებიც, რომელსაც ია კარგარეთელი ათავსებდა გაზეთებში...

ამ ოპერის დაწერის ინიციატივა ეკუთვნის თვით ლიბრეტოს ავტორს ბ. პ. მირიანიშვილს და რადგან დარწმუნებული იყო, რომ ზ. ფალიაშვილი, როგორც ზედმიწევნით მცოდნე ხალხური მუსიკის, შესძლებდა ოპერის დაწერას, პ. მირიანიშვილმაც შესთავაზა ზ. ფალიაშვილს თავის ლიბრეტო ოპერის დასაწერად. კომპოზიტორ დ. არაყიშვილსაც მოსწონებოდა ეს და ეხოვა პ. მირიანიშვილისთვის, მაგრამ უარი მიეღო, რადგან ლიბრეტო უკვე ზ. ფალიაშვილისთვის იყო გადაცემული.

საუკუნეთა წყვდიადში ჩამარხული გმირები ზ. ფალიაშვილმა აამღერა ისე, რომ ხალხს გულში მოხვდა მისი მშობლიური ჰანგები, მაგრამ მუსიკის წარმატებას ხელს უწყობდა, როგორც სიუჟეტის მიმზიდველობა, ისე ხალხური ლექსების ენა და სილამაზე. ხალხური ენის პლასტიკა მიუწდომელია თვით ხელოვანთათვისაც კი. „აბესალომ და ეთერის“ ლექსები პლასტიკის მხრით უპირველესთაგანია. აქ ნებას მავცემ ჩემ თავს მოვიყვანო რამდენიმე ამგვარი ლექსი „აბესალომ და ეთერიდან“. აი რას ეუბნება სანადიროდ წამოსული და ეთერს შეყრილი აბესალომი.

„მე ბანი ბანად გეძებდი,
შენ ბალი ბალჩად გეძინა;
გაგეხსნა ოქროს საკინძი,
ბროლის გულ-მკერდი გეჩინა.
ეგ ლამაზი გიშრის თმანი
ვარდისებურ პირს გეფინა;
დაგინახე მ ის ავტირდი
კურცხლად ცრემლი დამედინა.

(იხ. ლიბრეტო „აბეს და ეთერისა“ პ. მირიანიშვილისა გვ. 4, გამოსვლა 2.)

ან კიდევ იმავ გამოსვლაში აბესალომის ფიცი.

არა! წყალ-წისქვილ ქვიშამან!
არ შევირცხვინო პირია?!
თუ გული ჩემზედ გექნება,
მით მოიშორო ჭირია!
(ალერსით) რა ლამაზი ხარ, ეთერო,
რა მოიხიბლავი ფერისა!
საკოცნელია კაცთაგან
ფერფლიც შენ ფეხთა მტვერისა!..

ამ ლექსთა კომენტარიები მეტია. თვით ლაპარაკობენ თავიანთ სიკეთეს. აი ერთი ლექსიც:

ამაღამდელო ღამეო,
ნუ გათენდები მალეო,
მახვიე ბროლის გულმკერდსა
ვეღარ ვიზოვრი ხვალეო!
მაკარა მარჯნის ტუჩებსა:
კვლავ კოცნა ვეღარ გთვალეთ!
დილაზედ ადრე მგზავრიან
პირსა ინდოეთისასა,
უკვდავებისას ვასმევდე
იმ წყალსა ცხრა წყაროსასა.
ორ დობესა ჩავლა უნდა,
სამშარსა მტერისასა,
კოჯრის მთასა მოვლა უნდა,
მოსარბენსა ორბისასა;
იქ რომ ქვას გამოისვრიან
მონაგერსა ლომისასა,
მომარტყმენ, თავს გამიტეხენ
თავს ამა სპილოს ძვლისასა! (მოქმ. 5. გამ. 4.

აბა დაასახელეთ რომელიმე ხელოვანი პოეტი, რომელიც შესძლებდეს მიწვდეს ამ ლექსთა პლასტიკას

აი თვით ბ. პ. მირიანიშვილი რას ამბობს წინასიტყვაობაში, რომელიც უძღვნა „აბესალომ და ეთერი“—ს გამოცემას (იხ. ორი საერო თქმულება პ. მირიანიშვილისა).

„აბესალომ და ეთერა“ ძირითადად ქართულია. მისი უმთავრესი კილო მოძულე დედინაცვლის და გერის ურთიერთობა არის, რაიცა ასე ხშირია ქართულ ზღაპრებში. თუმცა ასეა, ურული მწერლობის, ანუ საღვთო წერილის გავლენა მაინც გამოჰკრთის. მთელი ორი ამბავია, რომელიც მოგვაგონებს ურიების ცხოვრებას.

დავით წინასწარმეტყველს და მეფეს ჰყვანდა ერთი სარდალი, სახელად ურია, რომელიც იყო ქმარი მშვენიერი ბეთსაბესი. მეფეს მოსწონდა ბეთსაბე და რაკი ძალად წართმევა არ იქნებოდა, ურიმ სარდალი გაჰგზავნა ომში, სადაც მოკლულ იქმნა, ხოლო დაქვრივებული ბეთსაბე მოუყვარულმა მეფემ შინ მოიყვანა თავის ცოლად.

„ასევე აბესალომი მოიქცა, რაკი დაინახა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთერ მურმან ვეზირის ხელში მოკვდა და ვარდი-გით გაიფურჩქნა სწორედ ისევე, როგორც სულ პირველად მის ხელში იყო, განიზრახა უკანვე მო-ეყვანა მაგრამ ძალადობას მოერიდა. მურმანი გაჰგ-ზავნა ჯარით, დასახმარებლად ინდოეთის მეფისა, რომელიც იმ ხანებში მტერთან იყო ომში გართუ-ლი, მაგრამ ვიდრე მურმანი დაბრუნდებოდა, ეთე-რმა დანა დაიცა მარცხენა ძუძუსთან და თავი დაა-კლა სულთ მობრძავ აბესალომსა, რომელმაც თავის სატრფოსთან ერთად სული დალია.

ურიებისვე თქმულებით, ევა ჩაესახა ადამს გვერდში, საითკენაც დაიბადა ასევე ეთერიც ჩაე-სახა ერთ მეწისქვილეს კანჭში. მაშინ მეწისქვილემ კანჭი მოიჭრა და გადააგდო შარა გზასა, მაგრამ ღმერთმა პატრონობა გაუწია, როგორც ამირანსა. ორბი მოჰფრინდა და კანჭი ბრჭყალებით აიტანა ხეზე თავის ბუდეში, ხოლო როცა „ეთერ დაიბადა, საზ-რდოს უზიდავდა“.

ა. მ.

# ცოცხალი კერპი

შენი შავი თვალები ისეთი ღრმა და მიუ-წდომელია, როგორც ცის ფერი უსაზღვროება, როგორც ღამის ლანდისგან მოტაცებული ჩამავალ მზის უკანასკნელი სხივი, როგორც ზღვის მკერდში დამალული ნიავის ლურჯი ღიმილი...

შენი ხშირი წამწამნი ისე სწრაფი და შხა-მის მატარებელია,—როგორც დიანას ისრები უდის ტყეში შვლის გულში სასიკვდილოდ გარჭობილი, როგორც ნეპტუნის ცეცხლის ეტლში შებმული ფაფარ აყრილი ცხენები ოკეანეს მკერდზე მსრბოლავნი...

შენი კბილები ხომ მარმარილოს მძივე-ბია უცნობ მოქანდაკესაგან ზღვების წიაღში გამოთლილი, მთვარის ამოსვლის ჟამს, ფრთ-ხილად, დიდის წვალებით ამოჭრილი?!.

შენი ტუჩები-მთის ანკარა წყაროა შორს მთებში მობუტბუტე, რომელიც წყურვილს რო მოუკლავს ტრფობის ცეცხლით ალ მო-დებულს, ვნების სიცხით ფერ მკრთალ, გულ-გავარვარებულ ქაბუკს, რავდენიც უნდა სვას იგი, რავდენი ხანიც უნდა დაეწაფოს გაშმაგებით

შენი სუნთქვა ხომ თვით გიჟ... სიოს სუნთქვაა ღამის ნაოჭებში, მხუ... ვალე, ალ მო-სადები, რომელიც დასწვავს, ფერფლად აქ-ცევს თვით ზევსის შეუდრეკელ ქანდაკებას, ადამიანის ხელით ა...ყად ამართულს?..

შენი ლოყები ხომ ვარდის მდელოა, სა-დაც დანთხეულა ვარდის უმანკო სისხლი და წითლად შეუღებია იგი?!.

შენი თმა ხომ სიმებია, მგოსნის სიმები გამოუცნობ ხელით გიშრის ტბაში ამოვლე-ბული და სუნნელების ქალ-ღმერთას ცრემლით დანამული?!.

მაშ რად გიკვირს, რომ შენ ჩემ კერპად გადაგაქციე? მაშ რად გიკვირს, რომ ჩემ გულის სასაფლაოზე აგიგე ხელთუქმნელი ბრინჯაოს ქანდაკება და ვნების პირველი ჟრჟოლა მო-გიტანე მსხვერპლად?!.

ჩამახედე შენს თვალებში და მეც მძლა-ვრის ხელით დავაბრუნებ ღამის ცივ სამეფო-ში კაშკაშა მზის სინათლეს!

მაჩუქე შენი წამწამი და მეც დაკოდილ ირემს გაუმთელებ წყლულს. მიმაკარ შენს ტუჩებს და მეც დავამშვიდებ გავარვარებულ გულს, დაუკარგავ სიცხოველეს. გამახვიე შენ სუნთქვის ტალღაში და მეც ხელ-ახლად ავაგებ ფერფლად ქცეულს ადამიანის კერპს. შემიშვი შენს ვარდის მდელოში და ვარდის სისხლს დავაკარგვინებ სიწითლეს. მომეცი შენი თმები, რომ ჩემ უსიმო სათნურს ეშხით გავაბა და გამოვცე ხმა უკვდავებისა!..

მაშინ მიჰხვდები რად გადაგაქციე კერპად, რად ამოვითხარე ობოლ გულში ქანდაკების საძირკველი და გიჟურ ვნების ჟრუანტელი, რად შემოგწირე უმანკო მსხვერპლად...

არჩილ მაჭავარიანი

## თავგანწირულ გმირს

ძღვნად გ. კ-ძეს

სამშობლოსთვის როცა იბრძვი,
გახსოვდეს ხარ ბედნიერი;
ბრძოლის ველზე თვით სიკვდილიც
არის მზიურ მშვენიერი.

თუ მტერს ყველა შენებრ დახვდა,
ახალგაზრდა და ხნიერი,
მაშინ ჩვენი საქართველოც
შეიქნება ბედნიერი.

ვარლამ ჩლაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყვითელ რვეულიდან...

მისცურავს მთვარე ყრუ სივრცეში ყრუთ მოარული,
მას მუდამ თან სდევს ?ი ახლო ერთი ვარსკვლავი...
ყვითელ ნათელით იჩრდილება წითელი გული,
და გაითხრება ცის წიაღში ჩუმი საფლავი...

გაივლის ხანი... მკრთალ სიფლავით დგება აჩრდილი,
სუსტათ ციალობს ქლექ ნაკრავი მისი სახება...
გარს წამოუსხამს უფერული .. თხელი მანდილი,
და ისევ ისევ.. ისევ მისკენ მიექანება.

მეც მუდამ თან მდევ, შორეულო, დღისით და ღამით.
მხოლოდ შენა ხარ ჩემი ფიქრი... ჩემი ზმანება...
შენკენ მოვილტვი.. თუმც ვილევი მე ყოველ წამით..
შენსკენ მოფრინავს. . შენ დაგეძებს გიჟი ოცნება...

ლ. ძიძიგური



დათიკო სეხნიაშვილი
არტაანის გმირი მფრინავი, პორუჩიკი, რომელიც თავზარს სცემდა იქაურ ჩვენს მტერს. ახალციხიდან ჩამოფრინდა თბ.



პოლკოვნიკი
ტიტე ართმელ ძე
მწერალი და სამხედრო მოღვაწე, ჯარის კაცთა უნივერსიტეტის დამაარსებელი ქუთაისს, ფოთსა და ოზურგეთში. (დაწვრილ შემდეგ)

## ტრიოლეტი

[ვუძღვნი ს—ს]

... და დაითალხა გული ჩემი შენზე დარდებით,-
ატირდა სული მოუსვენარ მწარე ცრემლებში,
ვერ ვიამაყებ მეგობრით და მოძღვნილ ვარდებით.
და დაითალხა გული ჩემი შენზე დარდებით ..
მწუხარე ლოცვა მეჩვენება ჩუმ ნეტარებით,
უძრავი ლანდი არ მშორდება უნდო სოფელში,
და დაითალხა გული ჩემი შენზე დარდებით,
. ატირდა სული მოუსვენარ მწარე ცრემლებში ..

ზაირი

ნეოფიტ ლუარსაბიძე გიორგობიანმა ს. მიხელიძის თანამშრომლობით გამოიგონა სპეციალური ღუმელი (ფეჩი) რომლის მეოხებით შესაძლებელია თორნეეში უშეშოთ მაზუთის საშუალებით პურის ცხობა. პირველი ცდა სრული გამარჯვებით დამთავრდა. პური ცხვება სამაგალითო და სათბობი მასალის ეკონომიაც ძლიერ დიდია. ამ ჟამად გამოგონება სდგას ავლაბარში, პოკროვსკის და ბალ რის ქუჩათა კუთხე № 26, ნ. მაგრაქველიძის თორნეში.



ახალგაზრდა გამომგონებელი ნეოფიტ ლ. გიორგობიანი (მარცხნივ) და მისი თანამშრომელი ხოფრომ ა. მიხელიძე.



ზუგდიდის დრამატიული წრე. დაარსებული 1919 წ.
1 ვ. ქარდავა, 2 თ. კარტოზია, 3 მ. გვინჩია, 4 ვ. ქვარაცხელია, 5 ც. ცხადაია, 6 მ. ვეკუა, 7 ტ. ლატარია, 8 პ. მეუნარგია, 9 ირ. ბოხუა, 10 ლ. ხუბულავა, 11 ს. დავითაია, 12 ვ. ჯიქია, 13 მ. ანთელავა.
[იხ. მე-5-ე გვ. „პირველი ნაბიჯი“]

## სახელოვანი ნაკვთები

### მ წ ე რ ლ ე ბ ი.

მაშინ, როდესაც ჩვენის მწერლობის დიდი უმეტესობა მხოლოდ დღიურ კითხვების გარკვევით აფერხებდა ქარ-ბუქს, ქალაქად-მელანს ხარჯავდა მხოლოდ ისეთ საგნებზე წერაში, რომელთაც მეორე დღესვე მნიშვნელობა ეკარგებოდა და თითეული მათგანი უმეტესად ვიწრო პარტიული ანუ პირად ანგარიშებით ხელმძღვანელობდა, იყვნენ ჩვენშიაც ისეთი მწერლებიც რომელნიც მარადიულ საგნებზე ფიქრობდნენ და მარადიულ სურათ-ხატებით ზრდიდნენ მკითხველთა გრძნობა-გონებას.

ამ უკანასკნელთა დარგს ეკუთვნიან სხვათა შორის ანასტასია ერისთავი-ხოშტარიასი და ვ. სილ ბარნოვი, რომელთა დღესასწაულიც კარს გვადგა. პირველს შეუსრულდა 25 წ., მეორეს 30 წ. მოღვაწეობისა.

და როგორც ამ ოცდაათი წლის წინად უმანკო რწმენით მოჰკიდეს ხელი, ისევე დღესაც შეუშრობელია მათი კალმის წვერი...

და ვითარცა იმ ოცდახუთის წლის წინად იყვნენ სამაგალითოდ მომუშავენი. ნივთიერად შევიწროებულნი, მაგრამ მთელი თავისი გრძნობა გონება ერისათვის ჰქონდათ შეწირული, ისევე არიან დღესაც.

მათი უკვდავი კალმის დამონებულ ს მშობლიური უტყვთ ასამეტყველებლად... და დღეს ჩვენი სამშობლო თავისუფლად მეტყველობს...

დაე ჩვენმა განთავისუფლებულმა ერმა ღირსეული გვირგვინით შეამკოს თავისი სულის უკვდავნი მეფენი.

### მ ს ა ხ ი ო ბ ნ ი.

რაკი უკვდავნი მეფენი ვახსენეთ, მოვიგონოთ ჩვენი მსახიობნიც, ეს ნამდვილი ფეხშიშველა და თავმოხდილი მეფენი, ეს მეფე ღირსნი ჩვენის ცხოვრებისა.

იქნება მეფე ღირს თავისი ქალიშვილები და სიძენი არ მოიქცევენ ისე უმადურად, როგორც, დღეს ჩვენი სამშობლო ექცევა უდიერად ჩვენს მსახიობთ,—

თვის განთავისუფლების სწორუპოვარია მოციქულთ ..

ყველას ეშველა, მათ კი არა...

მეველას ვიღა სჩაგის? ამ ზაფხულს კახეთისაკენ გამგზავრებული დასი მაღლა დედოფლისა შარაგზაზე გაძარცვეს და დღეს ეს მსახურნი წმიდის ხელოვნებასა არა თუ განაგრძობენ თავის მღვდელმსახურებას, სიტიტვლის გამო ოთახიდან კარშიაც ვერ გამოსულან...

და ჩვენი ერის სვებედის მწერალნი კი ბრძნულად სდუმან...

ნუ თუ მეფე ღირის უმცროსი ქალის კორდელიას კეთილი სული მსგავსი არ გამოუჩნდება ჩვენს მოწოწავლე ჩაბალახ ახდილ მეფეთ, რომ თვალზე ცრემლი შეაშროს და წყლულნი დაუამოს?!

იოსებ არიმათიელი

## ს ა ხ ა ლ ხ ო   გ ვ ა რ დ ი ე ლ ნ ი



ვასილ ბალათურია.



ლადიკო თავაძე.



ბენია მარგალიტაძე

ვაშნარის გმირნი. თავი ისახელეს ოზურგეთის მაზრაში ოსმალებთან ბრძოლაში. მოკლულ იქმენ ბორჩალოში სომხებთან ომის დროს, 1918 წ. დეკემბერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კუდიანობის მსხვერპლი

**პიესა ორ მოქმედებად**

**დავით კლდიაშვილის** მოთხრობა „მსხვერპლიდან“ გადმოკეთებული **გრ. საქარიქედელის მიერ.**

(გაგრძელება.—იხ. „თ.. და ც.“ № 8)

ნიკა. მაგას უწყრება ჩემი გაჩენი, მაგ-უსვინდისოს, გარყვნილს? ბიძია, დედა ჩემს შეხედე ცოცხალ მკვდარი აგდია იგერ, დედა ჩემი გამილახა მაგ ბოზმა; რავა არ მოვკლა მაგ (ფეფენასთან მიდის და თავს ესვლება.)

მარ. (ტირილით) ბიძია, ბიძია ჩემო, გამიშვით თავი უნდა მოვიკლა, მე ამ სახლში ვეღარ დავდგები, ბიძია... ტყვილა მწამებენ ცილსა. ცამდე მართალი ვარ... მიშველე, დამიფარე, დამიხსენი ამათაგან... დღემდე ყველაფერს ვითმენდი, ყველა იმის სიბილწეს ვუძლებდი... შეხედავდა მეგონა არ ვარ ოჯახზედ ორგულად, რომ ცუდი არაფერი მჭირს... რა არ ამიტანია უთქმელად... მეგონა მცდის თქვა. ვცდილობდი რამე რიგად მისი ოხერი გული მომეგო... მაგრამ არაფერი, არაფერი მე მასთან არ გამივიდა... კაცს ხმას ნუ გასცემ, კარგს ნუ იცვამო, ძონძებში რავა გამოვეხვიო, როცა ღვთით ვშოულობ, ვხელ საქნარობ... ქმარს მიხელებს... ის უიმისოდაც სულელია. რას არეუნბება აგულიანებს... დღეს რეები არ გამაგონა, რა არ მითხრა?!. რა არ შემწამა? რატომ არ მოვკვდები რა ექცები არ შემოაქვს ჩემზე! ღმერთო, ღმერთო რატო ვარ ცოცხალი ამის შემდეგ...

სოფ. (ხელს ხვევს მარინეს) მოითმინე, მოითმინე კიდევ შვილო; სულ ასე კი არ იქნება. როცა დარწმუნდება, შეხედავს რომ ცდება.. ტყვილა გიჯავრდება.. კი შვილო, მოთმინება სჯობია...

მარ. (ტირილით) არა ბიცოლა, მე აქ ვერ დავრჩები, ბიძია შენ ჩამაგდე მე ამ გენიაში, რატომ მოიკიდე ჩემი ცოდვა? რად ათხოვიე ჩემი თავი მაგ ოხრებს; ისევ უნდა მიშველო; შენ უნდა დამიხსნა ამ ცეცხლისაგან შენ.

სოფ. (ონისიმეს) გეუნბებოდი, კაცო, ნუ ერევი თქვა ამ შენი ძმის წულის ქალის თხოვაში, ბოლოს შეგვარცხვენს და სამწუხაროდ დაგვირჩებათქვა და ხომ გამართლდა ჩემი სიტყვა, წინდაწინვე ვიცოდი რომ ასეთი ამბები იქნებოდა.. და ამიტომ მეშინოდა ყოველთვის.

ონის. სიკეთე მინდოდა, დედაკაცო სიკეთე მაგ შერჩვენებულებისათვის... გაუწყრა მაგათ ჩემი გაჩენი, კაცი არ ვიქნები თუ მაგ კუდიანი რჯულზედ არ მოვაქციო.

სოფ. (ხელს კიდებს ონისიმეს) კაია თუ ღმერთი გრწამს, კაია დაწყნარდი ონისიმე, ეხლა ფეფენასთან გამოლაპარაკების დრო არ არის; ხომ ხედავ ადამიანი წევს ავად არის, ცალე, დაწყნარდენ ეს ადამიანები, მერე ნახე და მოელაპარაკე, ტკბილად, სიტყვა მოფიქრებით.

ონის. აბა, ფეხ ქვეშ გევეშალო, ჰა? რას მეუნბები დედაკაცო? კუდიანს, არა წმინდის რავა მოვაკვლევინებ ამ ადამიანს, რაღა უნდა უთხრა მაგის დედ-მამას, რა პირით უნდა შევხედო? (იწევს ფეფენასკენ)

სოფ. (ხელს კიდებს) ჩუთქვა, ჩუ, შე უბედრო? რომ არაფერი ეყურება ამ კაცს, რომ არ ესმის კაცის სიტყვა! რა გუნებაზედ ხარ დღეს? აქამდი ყოველთვის მის ცუდათ ხსენებას ერიდებოდი... დღეს რა ამბავია, რა ამბავია ეს?!.

ფეფე. (ადგება, ხმდენს ხანს ცრუ წამოდგომას ცდილობდა, მაგრამ ვითომ ვერ სძლებდა) გასწით, გამშორდით რას შემომივარდით სახლში, რა თქვენი საქმეა ჩემს ოჯახში გარევა (ადგება და ჯოხს წამოავლებს ხელს) გასწით, გამშორდით თორემ სულ-ყველას ჯოხით დაგიხეთქთ თავებს (ნიკა არ უშვებს) როსკიპი, გარყვნილი, როსკიპი შემომიყვანე სახლში და კიდევ თქვენ გვისაყვედურებთ! გასწით, გასწით, გაეთრიეთ!..

ონის (უფრო დამშვიდებული) შენ მე ვერ შემაშინებ, უკეთესია მითხარი, გამაგებინე რას ერჩით ამ ანგელოზ ადამიანს.

ფეფე. დედა რა დროს მოვესწარ, რა დროს... ეხლანდელი ქალებო! ძველი სვინდისიანობა გაჰქრა, ყველა უტიფარნი, გარყვნილი შეიქმნენ... არაფრის რცხვენიათ, ან რატომ არ გაირყვნებიან, როდესაც შენისთანა კეთილი კაცები (დაცინვით) ამართლებენ, დასტურს აძლევენ, მათი სამარცხვინო საქციელის მოწონებაში ჰძანდებიან; ქვეყანა კი გაირყვნა შენი და შენისთანების წყალობით.. ჩემდა გულის სახეთქად, ჩემი ოჯახის შესარცხვენათ, ერთი ამისთანა მეც ჩამამიგდე სახლში. ძროხასავით რომ დაღის ქუჩა-ქუჩა და ეძებს კუროებს.

სოფ. (მიუახლოვდება ფეფენას) ტყუილია, სულ ტყუილია ფეფენა, მაგისთანა ანგელოზი პატიოსანი ქალი, ერთი არ არის ჩვენს სოფელში, ტყუილად წამებ ცილს, უბრალოდ ეეჭვები, გეფიცები ჩემს შვილებს.

ფეფე. ტყუილა, ტყუილა.. ჩემის თვალით დავინახე მაგ უნამუსოს საქციელი, ჩემი ყურით მესმოდა, მაგას დეემხო თვალებიც და ყურებიც... სახლში, ჩემს ოჯახში დაიბარა კვირისთვის ის გახრეკილი დავით კარუგდელაძე, ახლაც არ გჯერათ?!

მარ. ბიცოლა ცილს მწამებს, მე მისთვის ხმაც არ გამიცია ტყვილა მტანჯავს, მაწვალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თნის. ფეფენა ნუ გაატანე სიბერემდე შენი ავსულობა. უსამართლობაა, საცოდავობაა საწყალი ქალის ტყვილა დატანჯვა.

ფეფე. (შეუტევს) მომშორდით, მომშორდით თავს ნუ იწუხებ დაოჯახებისთვის, კმარა, კმარა რაც სიკეთე დამმართე, ჩემი ოჯახის საქმეში ნუ ერევი, დამითხოვიხარ... დამითხოვიხარ იცოდე... მოშორდი და კარგად დეიმახსოვრე ეს გესმის?!.

თნის. (მუქარით) თუ ეგრეა — ჩ მეც დეიმახსოვრე, ჩემს ცოლ შვილს ვფიცავარ, მარინეს რომ ცუდი რამე შეამთხვიო ვერც დედა და ვერც შვილი ცოცხალი ვერ გადამირჩები, ცოცხალი ვერ გადამირჩებით იცოდეთ!.. (წასვლას აპირებს) მე წავალ, მაგრამ დეიმახსოვრე ჩემი სიტყვაც... ცოცხლები ვერ გადამირჩებით თქვე შეჩვენებულებო... რა ქალი მოვაყვანიე მაგ დაწყევლილს და რას მერჩებიან, შეხედოს კაცმა ერთი?! კაცი არ ვიქნები, თუ შენ არ მოგარჯულე შე კუდიანო.

სოფ. (თნისიმეს) ვიცოდი. წინ და წინ ვიცოდი, რომ ასე გათავდებოდა შენი მასთან მუსაიფი! ღმერთო, მომკალი ღმერთო! ფეფენას მომდურება! აწი ჩვენ რაღა ხეირი დაგვეყრება, მაგისი მთელს სოფელს შიში აქვს, ყველა ერიდება, შენ, შენკი შე უბედურო, შე ჩემის ცოდვით სავსე რამ გამოგაჩერჩეტა... გეხვეწე, გემუდარე ნუ შეემბები ლაპარაკშითქვა, არ დამიჯერე... ღმერთო, ღმერთო, აწი ვენი ხეირი აღარ იქნება.

თნის. აბა რა უნდა მექნა ერთი შენც? მოთმინებიდან გამომიყვანა; მაგისმა დედ მამამ ეგ გოგო მე ჩამაბარა.

სოფ. უნდა მოითმინო უნდა, ვის ებრძვი შე უბედურო? ვინ გიშველის, ვინ დაგიფარავს შენზედ ჯავრის ამოყრა რო მოიმდომოს.

თნის. (დაჯინებით) ვერასფერ ვერ მიზამს, ვერა.

სოფ. დიაღ, დიაღ მაგ იმედით იყავი...

თნის. რასაც მიზამს ქნას და ის იქნება! წავალ ეხლა და მუხლზე მეხვეწები მაპატიეთქვა თუ რა გგონია?!

სოფ. ვაი ჩემი ბრალი შენს ხელში.. წავიდეთ, წავიდეთ აქედან (მიუბრუნდება მარინეს) შვილო შენ აქ დარჩი, ჩემო ბიცოლა ნუ გეიმეტებ ბიძა შენის ოჯახს, შენი ჭირი შეეყაროს შენს ბიცოლას, ამოგვწყვეტს, ამოგვბუგავს... არ დაგინდობს... ნუ მოიკიდებ ჩვენ ცოდვას შენთვისაც აჯობებს რომ აქ დარჩე,

მარ. მომკლავენ, ბიცოლა, მომკლავენ.. არ იცი შენ მაგათი ამბავი... ღმერთმანი მომკლავენ... ბიცოლა ნუ მოაკვლევინებთ მაგათ ჩემს თავს, (ეხვევა) ბიცოლა, შენ დაგენაცვლე, შენის სულის ჭირიმე, დამიფარე, მაგათ ხელიდგან მიპატიე. მომკლავენ, მომკლავენ ეგ ურჯულოები,

სოფ. ნუ გეშინიან შვილო, მე შეგარიგებ ფეფენასთან, მე დაუჩოქებ და ისე შევეხვეწები გაპატიოს, დედაშვილობამ... ოღონდ ეხლა დარჩი, ოღონდ მაგას ეხლა ჩვენზედ ნუ გააჯავრებ,.. მე შეგარიგებ (კოცნის) ნუ ტირი შენი სულის ჭირიმე (მივა ფეფენასთან) შენი ჭირიმე, ჩემო ბატონო, შენ დაგენაცვლე, აპატიე მაგ უბედურს მისი უგნურობა, ნუ დასჯი შენის სულ-გრძელობისთვის (თნისიმე და სოფიო გადის, მარინეც მათთან წასვლას აპირებს)

ფეფე. (ნიკას) ხელი მოკიდე ბიჭო, არსად გაუშვა მაგ შენი თავსლაფ დამსხმელი ცოლი, მოკიდე ხელი. მოათრიე აქ, მაგას მე მოვარჯულებ, მე მევიყვან ჭკუაზე. (ნიკა მარინეს იჭერს და მოათრევს ხელით)

თნის. (კულისებიდგან) აი დაგწყევლოს ჩემმა გაჩენამ, რა წმინდა რაღაცა გაუჩენიხარ ღმერთს.

სოფ. (ისიც კულისებიდგან) სუ, სუ, გაჩუმდი გაგიხმა ეგ ენა.

ფ ა რ დ ა

[დასასრული შემდეგ ნომერში] გრ. საქარიქედელი

## რ ა დ შ ე მ ხ ვ დ ი, რ ა დ?..

მითხარი, თუ რად შემხვდი, ან რად გამიღ მე?.. რად დაკაწრე ჩ მი ტანჯული სული? გულის ფიცარს რად ეტუმრე და იქ რად დაისადგურე?.. და შენი მოგონება... შენი აჩრდილი გულს სერავს.. სულს აწამებს... და მითხარი, აბა რად შემხვდი... რად?.

* * *

დაქანცული, ობოლ-ეული, ყრუ ქუჩაზედ ყრუდ მივდიოდი... ფიქრი აწმყოსი... მოგონება წარსულის და მომავალი მაცრემლებდა, სახეს მიკაწრავდა.,. და ვსტიროდი... მწარედ ვსტიროდი... და აქაც შემხვდი... მთლად ავქვითინდი... ავცრემლდი... ქრაქივით ჩამოვდნი... და აბა მ თხარი, თუ აქაც რად შემხვდი... რად?..

* * *

ობოლ სარკმელთან, ობლად ვიყავი... სევდით დათალხული თავის ბედს დავსტიროდი... თავდავიწყება ფიქრთა სივანეში მიტაცებდა.. შავი ღრუბელის, შავი წერტილი, შავად შორს მიჩიხმობდა... ირგვლივ სიცალიერე... ობლობა... დაუნდობლობა... ფიქრი.. უსაზღვრო ფიქრი.. და აქ ფიქრის სანთელი ჩამოვქენ... ასანათს გულად შენი აჩრდილი დაუდევი... ასანათი ავანთე და გზა გავინათე... და უიმედო იმედიან გზას გავყევ...

და თუ ყველა ოცნება იყო ეს, მაშ რად შემხვდი... რად?.. ვ. სევდიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიხეილ ლომიძე



მიხეილ ესტ. ლომიძე მილოზი (1894-1919)

წარსულ თვეს სურამის საზოგადოებამ მიწას მიაბარა ახალგაზდა ნიჭიერი მუშაკი მიხა ლომიძე. განსვენებული ჩვენი ჟურნალის გულითადი თანამშრომელი იყო აქ ათავსებდა ესკიზ-წერილებს მილოზის ფსევდონიმით. მიხა სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტში საექიმო ნაწილზედ და ამგვარათ შეადგენდა ნუგეშს როგორც მშობლებისთვის ისრე ჩვენი ღარიბ ერისთვის.

მეტათ კეთილი და უწყინარი მიხა დიდათ გატაცებული იყო სამშობლოს სიყვარულით, მას კარგათ ქონდა შეგნებული ჩვენი ქვეყნის ავ-კარგი და ღრმათ სწამდა მისი უკეთესი მომავალი. ამიტომ სურამის საზოგადოება მის დაკარგვას დიდი მწუხარებით შეხვდა და ღირსეულადაც მიაბარა მშობელ ქვეყანას.

ჩვენი ჟურნალის რედაქცია ასევე დიდათ დამწუხრებული გლოვობს დაუვიწყარ მილოზს; იმ დროს როდესაც მტერი კარს მოგდგომია და სამშობლოსაჭიროვებს ერთგულ შვილებს, ულმობელმა სიკვდილმა უდროვოთ გამოგვასალმა ბედკრულ მიხას. ვინ იცის საბრალოს რომ დასცლოდა გაფურჩქვნილიყო რამდენ ნაღველს მოაშორებდა თავის საყვარელ ერს, მაგრამ დღეს დადუმებულს ტურფა სამშობლოს ბუნება იდუმალ გლოვობს თვის მესაიდუმლეს. დაასაფლავეს თიბათვეს. შესაფერი სიტყვებით დაახასიათეს ნატალია გიგაურ გაბაშვილმა გრ. სულიაშვილმა მიხ. მურანიშვილმა

მიხა დევაძე

## შემოდგომა

ძალადაკარგული მზე ყვითლად და უფერულად ანათებს. ცა ალუბრჯებულა, ჰაერი სუფთაა და ისეთი გამჭვირვალე რომ შორეულ მთების პანორამას სულ ახლო უჩვენებს. მთები ხრჩოლავს ნისლ ბურუსით მტკვრის პირიდან ანადენი ნისლი ნაძვ-ით შეფენილ ხეობაში გწოლილა ვეშ პივით. ახლად წამოვლილ ჭწვერვალებზედ, მზის სხივებისაგან გასპეტაკებული მსუბუქი ღრუბლები კუთ-კუთულ ლაგდებიან და კალეიდოსკოპურ სანახაობას გადმოსცემენ. შემოდგომის ცაზედ ღრუბლები სწრაფ მისცურა ენ, მიეშურებიან. მზე ხან დაიმალება და ხ ნ ისევ გამოანათებს, რის მ ხედვითაც გაშიშვლებულ ხეებს ჩროებიხან გრძლად გაწვებიან ფოთლებით მოლავებულ ნესტიან ნიადაგზედ, ხან ღრუბლის ჩერო-ჩრდილებში ითქვიფებიან-დნებიან.

დილის რთვილისაგან გათოშილი და ძალა მიხდილი ყვავილები სცდილობენ წელში გასწორდენ, მზისაკენ იწოწებიან, სითბოს სთხოვენ, მ გრამ ხეობიდან დანაბერი სიომათ შეაჟრჟოლებს, aаძაგძაგებს და ფურცლებს აკუშშინებს შრიალობენ ხმელი ფოთლები, ზუზუნობენ და ბლუიან ტყეზედ მიმავალი ტელეგრაფის ბოძები.

ჩიტები ჯგუფ-ჯგუფად დაფრინავენ და დაჭყაპინებენ. მდინარის სარკე პირზე გადაშვერილ ბუჩქებს ფოთლები შეუნარჩუნებიათ, მაგრამ შემოდგომას თავის გემოვნებაზედ აუყვითლ აუწითლებია. წითელ საყურება კუნელი მაყვალს ჩაუხუტებია გულში თავის გრძელ ეკლიან ყლორტებით. ასკილი თავის ქნევით შემოდგომის მელოდიას დირიჟორობს. შორს ტყეში ცულის ხმა მონოტონიურად ისმის— ზამთრისთვის შეშა იჭრის.

გარინდულა შემოდგომის ბუნება, გატვრეწილა მ ნდორ-ველი. ბუნება ძილს აპირობს, სსსუუუს აჩუმებს ყველას ცივი ნიავი. ლუ,ლუ ლუ-ლუ-ლუ!-აძინებს ყველას მოლულლულე რუ ჭყ პ ჭყიპ! არ ისვენებს ბელურა, არ ეძინება.. ძ შ შ შ შ!-შემოუტია ბულურას ხმელმა ფოთლებმა.

შემოდგომას თავისებური სიმშვენე ამკობს, სასიამოვნოა მისი გამჭვირვალე სუფთა ჰაერი, მისი ნესტიანი ნიადაგის დაჭკნარი მცენარეს მწარე სუნიც კი. ადამიანის ცხოვრებაში ისე ცოტაა მზიანი მხიარული დღეები, რომ შემოდგომ ს გადამხმარ-გადამჭკნარი მიდამო, ბუნების ძილი, იწვევს რაღაც გამოურკვეველ ნ ღველს. შემოდგომის სიო ადამიანის გულშიც შეარხევს მალე იმ ნაღვლიან სიმებს, რომელიც ასე მელოდიური გამოძახილია ყოველივე მიმავალისა, უკანასკნელისა

აგერ აბუზულ-აბუძგნული ჩიტუნია შეჭფ რებია ხის ფუღუროს თვლემს, იგონებს ხაფხულის მზიან დღეებს... აგერ ალამებისას ბუხრის წინ ზის ჭაღარა მოხუცი, იგონებს თავის მზიან წუთებს აზღაპროვნებს წარსულს გარს შვილიშვილები შემოხვევიან. ყურს უგდებენ. იქვე ფისუნიაც ღრუტუნებს... გაუდის ბუხარს ტკაცა ტკუცი, გუგუნებს, კრიალებს წითლად. გარეთ ქარი სისინებს.

ცივა, მალე თოვლიც მოვა და მისი თეთრი სიპეტაკე დაჰფარავს მიდამოს. იძინებს ბუნება, იძ ნებს მიდამო თოვლის ქვეშ გაზაფხულის მზის მოლოდინში.

მიშა ლომიძე მილოზი

ქ. სურამი—1813 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთვარიან ღამეში

მთვარიან ღამეში გავ'ღებ ფანჯარას.
სუბუქი ნი ვი ამიშლის თმებს.
შევხედავ ცეცხლებით მოვლენილ კამარას;
შევხედავ მთვარეზე გაყინულ მთებს.
მთვარიან ღამეში მეფედ ზის ,,სიჩუმე'',
ყოველი ასრულებს ,,სიჩუმე'' ბრძანებას.
მეც ჩემი დარდები ჩემში ჩავაჩუმე;
სიჩუმით ვადიდებ მეფურ განათებას.

ფირუზის კამარას ჩამოსწყდა ვარსკვლავი..
მიც მაღლე მოვსწყდები ცხოვრების სვლას,
მთვარიან ღამეში მეთხრება საფლავი;
სანაზე მთვარისა სიამით მკლავს.
მთვარიან ღამეში ვიგონებ მე წარსულს
თვალები მევსება ჰრიალა ცრემლებით:
უდარდელ ბავშობას ჩემთან სვლა აღარ სურს,
არ სურს მომეფეროს ხათუთი ხელებით.

მთვარიან ღამისგან მოველი კარგს არას.
ცქრიალა ვარსკვლავი დამცინის არარას.

ბერე ში ნი.

## ერის ჩუმი კეთილმოქმედი.

სხვა ქვეყნიდან ჩვენს დედა ქალაქში ჩამოსული კაცი აუცილებლად გარეთ უბანს უნდა მოხვდეს. ეს გარეთ უბანი, იარმუკად წოდებული, შეადგენს დღევანდელ თბილისის გულს, სადაც სჩქეფს და გადმოდუღს ცხოვრება: ვაჭრობა. აღებ-მიცემობა, ერთი სიტყვით თითქოს მთელი თბილისის ღერძი აქ მოძრაობდეს. აქ შეხვდებით ყველა ჯურის მოქალაქეს, ყველა ერის და წოდებას ხალხს,—ენა წყლიან კონტოს, ბაყალს, მიკიტანს, ყასაბს და სხ. მათის ერთის შეხედვით სიამოვნებ, მაგრამ დაუახლოვდები თუ არა, ჩაიხედავ მათს ცხოვრებაში, ნაღვლიანად გატრიალდები: თითქმის ყველა მათგანს ერთი გარყვნილი ენა, ერთი რწმენა აქვს ყოველ ზრდილობას მოკლებული. თითოეული მათგანი რაც უფრო ბინძურის სიტყვებით მოიხსენიებს თავის ამხანაგს, მეგობარს, მეზობელს, იმდენად თავი ესახელება, სიამოვნებს და მეტი პატივი აქვს.

და ყველა ეს ჩვენი ქალაქის გულშია, რომლის თავათაც სოლოლაკია, რომელიც განათლებულ ქვეყნებს გააფითრებული ექიშპებოდა—თუ წინ ვერ გაუსწრობ, მხარ და მხარ მაინც გავყვებიო... მან თავი კულტუროსან ქვეყნებში შეჰყო კიდეც. მაგრამ ტანი გარედ დარჩა და არაფერი იფიქრა იმ ნაწილზე. გულზე, რომლის ძაფებიც მთელ ჩვენს ქვეყანაშია გაბმული, როგორც ვსთქვით აქა ტრიალებს ყოველი ჯურის მოაქმე, დაბა-სოფლებიდან ხალხი აქეთ მოეშურება—,,იარმუკა'' ნახოს, გაიგოს შეისწავლოს და რასაც აქ განიცდის—თავისიანთ შორის შეიტანოს. სოლოლაკს-კი ეს გული მივიწყებული ჰქონდა. შეშის მეიდნიდან (პუშკინის ბაღიდან) მუხრანის ქუჩაზე და ალექსანდრეს ბაღამდი სანთლით რომ ეძებოთ, გაზეთის ნასახს ვერ იპოვით. განა ქალაქის მამებს (უწინდელს სოლოლაკს) არ შეეძლოთ შუაგულ იარმუკაში, სადაც ტრამვაი ჩერდება, პატარა ჟურნალ-გაზეთების კიოსკი დაედგათ, რომ სხვა და სხვა მილეთის ხალხს თვალწინ ჰქონდა გონებრივი ლამპარი; ვინ არ იცის, თვალი შორს—გულიც შორსო. და უცხო აკცი რომ უფრო ხშირად ნიხავდა ჟურნალ-გაზეთებს, ხომ უფრო დაეწაფებოდა...

ადგილობრივი ვაჭრები და მათი მოზარდი თაობაც კიდევ უფრო დაეწაფებოდა,—ეგება ჟურნალ-გაზეთების დახმარებით ნელნელა მმოსულიყო იმ ბინძურ მორევიდან. რომელშიც იხრჩობა.—

რაც ძველმა მამებმა ვერ შესძლეს, იქნება ახლებმა შესძლონ. ნუ გეგონებათ ,,იარმუკა'' ისე გათოშილიყოს. რომ ნაგავში მარგა ლიტებიც არ იპოებოდეს'.. ასეც რომ იყოს, ნუ გაექცევით, მიდით მასთან სული გაუფაქიზეთ და საუკეთესო თანამოაზრე-მოქალაქესაც აღმოაჩენთ მათ შორის...



აი ამ ,,იარმუკაში'' იყო ის ადამიანი, რომელიც შეადგენს ჩემი წერილის საგანს,—ეს იყო აწ განსვენებული გიგო მესხიევი ჩუმი, ღარიბი, მაგრამ ჩვენი ერის კეთილდღეობის გრძნობით მდიდარი. ამ ,,იარმუკაში'' გაატარა ორმოცი წელიწადი და ვერავითარმა გარყვნილებამ ვერ ჩაითრია. ამას უნდა უმადლოდეთ, ჩვენს პატივცემულ მოღვაწე ზ. ჭიჭინაძეს, რომელსაც ამ 20.30 წ. წინად ამ იარმუკის ნაპირებში წიგნთ-სავაჭრო ჰქონდა, ჰყავდა მოწაფეები, აწვდიდა პატარა წიგნაკებს. ამითი ზოგიერთები იხსნა ცხოვრების უკუღმართობისგან, მათ შორის გიგო მესხიევსაც ჩაუნერგა სამშობლოს სიყვარული და მოქალაქეობრივი მოვალეობა.

გიგო მესხიევი იმ ხარისხის მიკიტანი იყო, რომლის სამიკიტნოშიაც ძმა-ბიჭები ერთმანეთს უშვერის სიტყვებით ამკობდნენ, იგი არ აჰყვა ამათ და გარდაიცვალა თებერვლის 14) პატიოსანი ადამიანის სახელით. იყო ჩუმი, უსიტყვო, არავის არასფერს უმხელდა, რადგან თავის გარეშემო ამხანაგი ვერ ეშოვნა, ფიქრობდა თავისთვის მნახველი იფიქრებდა: ,,ეს კაცი საშინელი ძუნწიაო!'' და ამ გარეგნულად ძუნწმა გააკეთა ის, რაც იმის წრისას არავის გაუკეთებია. მან თავის სამშობლო თელავის წ. კ. ს. განყოფილებას უანდერძა თავისი, ბიბლიოთეკა ძველი და ახალი საუკეთესო მწერლების ნაშრომი წიგნები, თითქმის 1888—1905 ყველა გამოცემანი. არის ძველი ჟურნალ გაზეთებიც. გარდა ამისა, თუმცა არ იყო მდიდარი, მაგრამ ფულადაც უანდერძა ათასი თუმანი, რითაც სადირკველი ჩაუყარა თელავის ღარიბ სამკითხველოს.

კურთხეულიმც იყოს სახელი მისი და ვისურვოთ მიკიტანთა შორის სხვაც მრავალი გამოგვჩენოდეს მის მსგავსი.

ვანო მესხიევი

## გზაში

(ნაწყვეტი)

კარგა ხანია კახეთისკენ აღარ მემგზავრნა; პატარა შემთხვევით ვისარგებლე და გავემგზავრე, მარა ის თქვენ ლხინად მოგცეთ ღმერთმა. რამდენადაც მე ვისიამოვნე! აღარ მესმოდა ,,კუდაა. ნილზია''. მთქმელიც კი თვალით არა სჩანდა: სიმღერები კი გარკვევით ისმოდა: ,,ღვინოვ კახურო, ვარ შენი'' და სხვა ამისთანები თვალს რომ ვასეირნებდი ვაგონში, ჩემ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. თითქოს ერთი ოჯახი იყო. ყველა თავისუფლად სუნთქავდა, ყველას სიამაყის გამომეტყველება აღბეჭდოდათ. ჩემს ახლოს ერთი შუახნის კაცი იჯდა და რაღაცა სასოწარკვეთილებას მისცემოდა: თითქოს ეს ბედნიერი დრო მას არ ახარებდა. მე მას განგებ ყურადღება მივაქციე, მინდოდა გამეგო მისი საიდუმლოება., მისი მტანჯველი ფიქრები, მისი ვარამი რადგან, ამ კაცის გრძნობიერი სევდიანი თვალები მამცნობდნენ რომ ის რაღაც ოცნების მორევში სცურავდა. შევნიშნე, რომ ზოგიერთები თითქოს უკმაყოფილონიც კი იყვნენ ჩვენის დროთი... მე დავიწყე ჩვენი ერის ბედზედ ლაპარაკი. ამის გაგონებაზე უცნობმა კაცმა გრძნობით სავსე თვალებით გადმომხედა. მე კი თავისუფლად ვმსჯელობდით- ეჰ, „ძმებო, ნუ თუ კიდევ ვერ გაიგეთ აწმყო ბედნიერება, რომელიც კი გამოჰხატავს ჩვენ სამშობლო ქვეყნის თავისუფლებასა ქართველ ხალხის ბედნიერებას, ჩვენი ვალია, შევიგნოთ ეს და ღირსეული ადგილი მოუპოვოთ ამ ნეტარ დროს ჩვენს ქვეყანაში. ამ სიტყვებმა უცნობი მეტად დააინტერესა და ლაპარაკში ჩაერია.

საქმეც ეგ არის, შვილებო, რომ თავისუფალი სამშობლოი თითონ ჩვენვე მიგვყავს უფსკრულისაკენ. მტრობა, შური-ძიება და მოღალატეობა რამდენიც გნებავთ! სამშობლოზე და მამულის აყვავებაზე კი არავინა ფიქრობს' ამან კი გული ისე მომითუთქა, რომ წელში ადრე მომღუნა და პირი სამარისკენ მიყო. არ არის კარგი არა ადამიანების ასე გათახსირება!

არ გაგიგონიათ: ,, ვარდი უეკლოთ არავის მოუკრეფიაო''! მივუგე მე, მაგრამ ამ დროს მატარებელი შეჩერდ და ჩვენი ლაპარაკიც შესწყდა.

ანნა ვენეცკისა

# განაპირანი

(ჩემი შთაბეჭდილებანი).

**ჩვენი სამშობლოს** დაბა-სოფლები და თვით ეგრედ წოდებული განაპირა ,,ქალაქებიც'' რომ ჩამორჩენილია, ვინ არ იცის. ხოლო თუ ისე სავალალო იქნებოდა, როგორც ვნახე. ეს კი აღარ მეგონა.

**სოფ. საგარეჯო**, დაბაა თითქმის სხვა არა იყოს -რა, საუცხოვოა თვისი წყლით. მდებარეობითაც არა უჭირს-რა, ხალხიც—თითქმის 1800 კომლია,—სახნავ-სათესი მინდვრით მდიდარი, ინტლეგენციაც ჰყავს, სპეციალისტი ინტლიგენცია— ინჟინერი, აგრონომი, მასწავლებელი, მოიპოვება სკოლა, ფოსტა, აფთიაქი თეატრი, ბიბლიოტეკა, მაგრამ... ყოველივე ეს თითქო ნაძალადევია ანუ მივიწყებული სამაგიეროდ ძლიერ ხარობს სამიკიტნოები... ერთის თვალის გადავლებით იტყვი მტრისგან აოხრებული ქვეყანაა, რომლის მკვიდრნი ესეს არის დროებით შემოჰხიზვნიან ნანგრევებსო, ზაფხულობით საიგარაკო ელფერი ხდევს.

საგარეჯოს თეატრი თითქმის ათი წელიწადია, რაც აშენდა. მაგრამ ნამდვილ თეატრობას ჯერ კიდევ ბევრი უკლია. შენობა რიგიანი, სცენასაც არა უჭირს რა, ირგვლივ ეზოც ფართე აქვს, მაგრამ მაინც მოწყობილი ვერ არის: დეკრაციები, ფარდა და სხ. პირველ ყოფილია. ადგილობრივ დრამ. წრის გამგეობის ზოგიერთი წევრნი მოწადინებით მუშაობენ, მაგრამ საერთო გულციობაში მათი მუშაობაც ნაკლებ ნაყოფიერია. მკვიდრი ინტელიგენცია, როგორც ვსთქვი, თითქო გაბუტულიაო, თეატრს სათოფედაც არ ეკარება თითო-ოროლა მოფრენილ ინტელიგინტს გარდა. არც მუდმივი სცენის მოყვარეთა წრეა. აქ კი იმდენი კულტურული ძალაა, რომ შეთანხმებული ფხიანი მოქმედებით შეეძლოთ ბევრად დაეწინაურებინათ კერძოდ სათეატრო საქმე და საზოგადოთ კულტურული მხარე ხალხისა.

აქაურ ინტელიგენტურ ძალთაგან აღსანიშნავნი არიან დარ. მაისურაძე, გოდერძიშვილი, დ. გვილავა, ნ. უგრელიძე, ნ. ქურდოვანიძე, რევაზოვი, დაფქვიაშვილ, გ. ჯაბადარი, ლ. ვაშაკიძე და სხ. რომელნიც სათეატრო საქმეს წინ უძღვიან...

ადგილობრივი სამკითხველო კოპწიად არის მოწყობილი დარია მაისურაძის მზრუნველობით, მაგრამ..-წიგნებით ღარიბია და მკითხველებიც ნაკლებად ეტანება,—დღეში 2-10, ხანდისხან სამკითხველო კარ გამოკეტილია. ნივთიერადაც ხელმოკლეობას განიცდის-ყურადღების ღირსია აქაური საფეიქრო სკოლა ანეტა კაპანაძისა, რომელიც უკვე მოწაფეთა მეორე კურსს ათავებს. გზები თითქმის სრულიად უყურადღებოდ-მიტოვებული: სოფლის გზები და სადგურამდე ჩასასვლელი ოღრო-ჩოღროა; სადგურის გზა ამ რავდენიმე წლის წინად დაუწყვიათ, მაგრამ თავი მიუნებებიათ. ეს გზა რომ დასრულებულიყო, მიმოსვლა ბევრად გაადვილდებოდა?..

ეჰ, ვინ მოსთვლის რავდენი ნაკლი არ ეჩხირება კაცს თვალში. მერე ყოველივეს გაკეთება რა ადვილია, მაგრამ პატრონი სად არის?..

**თელავი** კაი ხნის ქალაქია, კახეთის შუაგული, ისტორიულად ღირს-შესანიშნავი, მაგრამ გარეგნულის შეხედულობით ს. საგარეჯოს ბევრად ვერ გასცილებია: იგეთივე ნარიყალა, ოკრობოკრო სახლებით, უპატრონოდ მიტოვებული, საგარეჯოში თუსათვის წყლით იგრილებენ გულს, თელავში—ვაზის ნექტარით, თეთრ-ყირმიზ-ღვინით. ხალხი დათენთილა, სულიერ ცხოვრებაზე ხელი აუღია და კუჭის პატივს მიჰყოლია. თელავში ვერ

ნახავთ თეატრს,—თუმცა თელავის მიდამომ არა ერთი და ორი სახელოვანი მსახიობი მოგვცა, აქ ვერ ნახავთ წიგნსაცავს-სამკითხველოს, თუმცა თელავში იყო დავით რექტორის სასწავლებელი და არა ერთი და ორი მწიგნობარი გამოსულა აქედან, ვერ ნახავთ ლიტერატურულ წრეს, თუმცა კვირეულ სამხატვრო ჟურნალს ბეჭდავენ (დიახ. 120 ცალს).. სამოქალაქო----სახელმწიფოებრივი, კულტურული მაჯის ცემა შეჩერებულია, სამაგალითოდ დიდი გასავალი აქვს ყაჩაღობის კულტს· (ამას წინად მთელიმილიცია დაიჭირეს... ავნი ენანი მოგახსენებენ, ვითომც ყაჩაღობას უწყობდნენ ხელს).

მართალია, არის რავდენიმე მოწინავე მუშაკი არ. ციხისთავი, ი. პაატაშვილი, ივ. კოლელიშვილი, ივ. როსტომაშვილი, ბ. ახოსპირელი, გოგნიაშვილი და სხ. მაგრამ მათი საქმიანობაც საერთო უსაქმურობაში ნაკლებათ სჩანს... ყველა საპირადო საქმეშია ჩაფლული და თითქო საქვეყნოს არას დაგიდევს.

არის სასიამოვნო ამბებიც: თელაველებს განუზრახავთ სახალხო სახლის აგება (სხვათა შორის, თელავის საკრებულოში ამ მიზნისთვის ყოველ ღამ ქალალდის მოთამაშეთაგან ფული გროვდება), მაგრამ საქმე ერთ ადგილზეა შეჩერებული; ერთმა თბილისელმა მიკიტანმა გ. მესხიევმა ანდერძით წიგნები და ფულიც შესწირა, მაგრამ კაცი არ აღმოჩნდა რომ ჩაებარებინა. ბა სოფლად შეუჩერებელი კულტურული მუშაობა გვმართებს, თორემ ჩვენი თავისუფლება-დამოუკიდებლობა ისე გაჰქრება, ვითარცა ქვიშაზე ნაშენი შენობა..

ექიმი შტოკმანი

## საბებიოში

—ძლივს გადარჩა. ბიჭია ბიჭი,—წამოიძახა ბებიამ, ხოლო მელოგინემ შვებით ამოისუნთქა.

—დიდება შენთვის ღმერთო, ნეტა რა სახისაა?

—სწორედ ლემენცია..,

—ვითომ ოსმალო? მაგრამ ის ხომ არცკი გაჩერებულა აქ...

—ზედ გამოჭრილი ინგლისელია...

—ინდოელსა ჰგავს...

—ფრანგს უფრო მიემსგავსება...

—დამენაძლიე იტალიელის იყოს .,

კამათობდნენ ბებიები, თან ბავშვს ჩვრებში ახვევდნენ...

—ქა, დედას უფრო არ ეცოდინება ვისიაა,—ჩაურთო ხნიერმა მსახურმა და მელოგინეს ჩეკითხა: ვ ისია, შვილო?

—ვი-სია?—ძლივს ამოიკვნესა ახლად მოლოგინებულმა და მძიმედ განაგრძო: აბა, რომელი ერთი მოვიგონო შარშანდელს აქეთ?!!

შიტა!




მონივრელი თვალსეირი

არტისტიულ საზოგადოების თეატრში საუცხოო სინემატოგრაფია. ყოველი ნაწარმოები, რომელსაც აქ აჩვენებენ, შინაარსიანია, იდეური და მხატვრული. აქ, სხვათაშორის აჩვენებენ „ჟანნა დარკ—ორლეანელ ასულს." რა მხრივადაც უნდა გასინჯოთ ეს სანახაობა, მოგხიბლავთ. იგი ზრდის მაყურებელში მამულიშვილობას, სამშობლოსადმი მოვალეობას, რწმენას. ამნაირ სურათს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით მოზარდი თაობის და ჯარისათვის. კარგს იზამენ, თუ ჯარს უჩვენებენ. საჭიროა ჩვენმ ხელოვნებმა და სინემატოგრაფის მესვეურებმა ამას ყურადღება მიაქციონ და მსგავსივე იდეური ლენტები შეიმუშაონ. ჩვენი ისტორია საამისოდ დიდს მასალას იძლევა. ხოლო ვიდრე ეს არ მომხდარა, ყველას ურჩევთ, „ალკრეს" სურათები ნახოს „არტისტ-თეატრის დარბაზში" ეკრანზე: ამითი ბევრს ისიამოვნებს და უფრო მეტს ისარგებლებს.



პრაპ. ექვთიმე დავითისძე კუკულაძე.

პრაპ. კუკულაძე მსახურებდა 3-ე შავი ზღვის კანაპირა სადარაჯო პოლკში. გასულ წლის 8 დეკ სომხებთან შეტაკების დროს შულავრის ბრძოლაში მოკლეს, 24 წ. ახალგაზრდა ოფიცრობას ეკუთვნოდა. მტკიცედ სწამდა სამშობლო და მის დაცვაში დაღვა სული. ის ყოველდგან ყოველთვის მზათ იყო მედგრად შებრძოლებოდა საქართველოს მტერს. თავი ისახელა ოზურგეთის ამბების დროს ოსმალთ ურდოების წინაად. ბრძოლაში, ის ხელმძღვანელობდა აკეთის საზოგადოების ჯარისკაცებს. მონაწილეობდა აგრეთვე რაზმში ბათომის დაცემის დროს აჭარის წყალზე გასულ წელს ბანდებთან ბრძოლაში ლეჩხუმის მაზრის აჯანყების დროს მან საკმაო ენერგია დახარჯა. მტრის ტყვიას რომ არ მოესპო სამშობლოსათვის კიდევ დიდი სამსახური შეეძლო. ამხანაგებმა ჩამოასვენეს თავის სოფ ზემოაკეთში და პატივისცემით დაკრძალეს. ის ერთადერთი იმედი იყო მშობლების. კურთხეულ იყოს სახელი მისი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართული ლატარია

## ბიჭიკო

მამილო გეთაყვანე, შენი გულის ჭირიმე,
ხომ მხედავ რა ხანია არაფრისთვის ვტირი მე!
აღარ მინდა ჩიგორი, არც ბურთი, არც ბზრიალა,
არც თხილი, აღარც წაბლი, არც კაკლები კრიალა,
და აღარც თუ სხვა რამე—გინდ მაჩუქო მილეთი
უმჯობესს მირჩევნია ლატარიის ბილეთი.
მიყიდე,—სათხოვარი სხვა არ მაქვს ამის მეტი,
მინდა ვნახო თეატრი და უნივერსიტეტი.
სულ ამაზე უბნობენ, საქმობენ თუ დადიან,
და მეც იმათი ნახვა ძაან გულით მწადიან.

**შიო მღვიმელი.**

## მარცვლები

(დამაკვირდი)

კაცი თუ ცხოვრების სწორე კალაპოტს ერთხელ გადასცდა,—ძნელად და ჩადგება.

*

ბრუნდეთ მოაზროვნე სწორე სამართალს ვერ დაადგენს.

*

მოდავე—მოსამართლე ვერ იქნება.

*

თუ სწორე სამართლის დადგენა, უნდა უარჰყო გვარტომობა, სარწმუნოება, ნათესაობა,

*

სახელმწ ფოს პატივს მართლმსაჯულება აამაღლებს.

*

თუ პატივის დამსახურება გინდა, უპირველეს ყოვლისა შენ უნდა იცოდე პატივისცემა.

**იოსებ არიმათიელი**

# წვრილი ამბები

— „სანათლე“ თათრულად. ასად თალ-ზადეს ქართულიდან თათრულად გადუთარგმნია ი. გედევანიშვილის პიესა „სინათლე“. დაწვრილებით შემდეგში.

**ველისციხელ** სცენის მოყვარეთ წრესა და გამგეობას გადუწყვეტია სახალხო სახლის აგება. ამ მიზნით თანხა უკვე გროვდება. შეგროვილია 15000 მან. ყოველი წარმოდგენის ქირა ანუ შემოსავალი ამ ფონდს ემატება.

**ვ. ბარნოვს** ორი ახალი რომანი. დასწერა ერთი მათგანი „ხაზართა სასძლო.“

**ხელოსანთა კლუბში** პარასკევს მარიამ. 1 გაიმართა სანდრო მაისურაძის კონცერტი. კონცერტის დაწყებამდე იოსებ იმედაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა „ჯარი და სიმღერა.“ წარმოდგენილი იქმნა დარაშვილის პიესა „პარტია-პურტია.“ ხალხმა ვაშა-ტაშით დააჯალდოვა მონაწილენი.

**მოგზაური დასი** შალვა დადიანისა ლაგოდეხიდან დაბრუნებისას გაცარცვეს. დასი უმწეო მდგომარეობაშია.

**დღეს საგარეჯოში** ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება „და-ძმა.“

**ველისციხის თემმა** თავის თავმჯდ მ. ისაკოვის (ველისციხელ) რჩევით გადასწყვიტა: 1) მოაწყოს წარმოდგენა-მიტინგები, 2) დაფუძნდეს ჟურნალ-გაზეთების კიოსკი.

— „თეატრი და ცხოვრება“-ს საღამოები გამართა ველისციხეში, საგარეჯოში და სხვ. დაწვრილებით შემდეგ.

— ქართველ მწერალთა კავშირმა მთავრობას წარუდგინა მემორანდუმი ქართველ მწერალთა მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. თხოულობენ 1 მილიონს.

## შემოწირულება

**ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“** ფონდის ბასაძლიერებლად მივიღეთ:

ველისციხის სცენის მოყვარეთაგან 470 მან, საგარეჯოს სცენის მოყვარეთა წრისგან 670 ამნ. ნიკ სოლ. ქურდოვანიძისგან 25 მან უცნობისგან —62 მან. ფ. ფიცხელაურისგან 40 მან. შემომწირველთ გულითად მადლობას ვუძღვნით, რედ.

**„თეატრი და ცხოვრების“** საღამოში საგარეჯოში მონაწილეობა მიიღეს სრულიად უფასოდ და დიდი ამაგიც დასდეს საღამოს: დ. მაისურაძემ, ელ. ელ. გოდერძიშვილმა, ლ. ვაშაკიძემ, ქურხულმა, კ. ქურდოვანიძემ, რევაზოვმა, მ ჯიბაძარმა, ვ, გაფრინდაშვილმა, დ. გვილავამ, მ. დაფქვიაშვილმა, კ. ქვლივიძემ, კ, უგრელიძემ და სხ.—ყველა მონაწილეთ გულითად მადლობას ვუძღვნით. რედ.

**ველისციხეში** „თ. და ც.“ საღამოში მონაწილეობისთვის გულითად მადლობას ვუძღვნით ვალ. რუხაძეს, ბეჟანიშვილს, გოძიაშვილს, კიკნაძეს და სხ.

უცხო სიტყვათა
ლექსიკონი
შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ, მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა. ფასი 50 მანეთი

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**